საქართველოს უმაღლესი განათლების სისტემაში მიკრო-კრედიტების დანერგვის გზამკვლევი

Funded by
the European Union

Micro-GEAR

თბილისი

2025

სარჩევი

1. შესავალი 1
2. კონტექსტი და დასაბუთება 1
   ეროვნული საჭიროებები და კომპეტენციების ნაკლებობა 1
   საქართველოს უმაღლესი განათლების რეფორმებთან შესაბამისობა 2
3. პოლიტიკის განვითარება და დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობა 2
4. ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები 3
5. ეროვნულ კვალიფიკაციათა ჩარჩოსთან ინტეგრირება და აღიარება 4
6. ციფრული პლატფორმა 5
7. კურიკულუმის პილოტირება 6
8. ცნობადობის ამაღლება და შესაძლებლობების განვითარება 7
9. მიკროკრედიტების დანერგვის მონიტორინგი და შეფასება 8
10. დასკვნა 8

დანართი 1 10

დანართი 2 13

Funded by the European Union

Micro-GEAR

1. შესავალი

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ ჩატარებული თემატური ანალიზის თანახმად, მიკრო-კრედიტი განისაზღვრა, როგორც სწავლის შედეგების შეფასებისა და ვალიდაციის დადასტურებული მტკიცებულება, რომელიც მიღწეულია სტრუქტურირებულ, ფორმალურ გარემოში განხორციელებული მცირე მასშტაბის სასწავლო აქტივობის საშუალებით.[1] მიკრო-კრედიტი შეიძლება იყოს დამოუკიდებელი, მცირე კვალიფიკაცია ან გაერთიანდეს სხვა მიკრო-კრედიტებთან, უფრო ფართო კვალიფიკაციის მისაღწევად.

უმაღლესი განათლების კონტექსტში, მიკრო-კრედიტების საშუალებით მსმენელებისათვის ხელმისაწვდომი იქნება:

- მოქნილი, მოდულური სწავლება
- კვალიფიკაციის ამაღლება ან გადამზადება სხვა სფეროებში, დასაქმების შესაძლებლობების გაზრდის მიზნით,
- აღიარება და ვალიდაცია იმ კონკრეტული ცოდნის, უნარებისა და სწავლის შედეგებისა, რომლებსაც მიიღებენ ფორმალური განათლების გარეთ, მაგრამ სტრუქტურირებულ სასწავლო გარემოში.

ინსტიტუციონალურ დონეზე, მიკრო-კრედიტების დანერგვამ საქართველოს უმაღლეს განათლებაში შეიძლება ხელი შეუწყოს პოტენციური სტუდენტების რაოდენობის ზრდას, ინსტიტუციური გამჭვირვალეობისა და რეპუტაციის ამაღლებას, კურსდამთავრებულთა კომპეტენციებისა და ინდუსტრიის/შრომითი ბაზრის საჭიროებებს შორის შესაბამისობის გაუმჯობესებას და განმახორციებელი ორგანიზაციების შემოსავლის წყაროების დივერსიფიკაციას.

ეს გზამკვლევი გამოკვეთს მიზნებს, აქტივობებს, ეტაპებს და მოსალოდნელ შედეგებს საქართველოში მიკრო-კრედიტების განხორციელების პროცესის თითოეული ფაზისთვის.

2. კონტექსტი და დასაბუთება

გზამკვლევი შემუშავებულია შემდეგი მიზნით:

ეროვნული საჭიროებები და კომპეტენციების ნაკლებობა

[1] https://www.eqe.ge/res/მიკროკრედიტების%20თემატური%20ანალიზი%20ინგლ..pdf

- საქართველოს უმაღლესი განათლების სისტემაში გარკვეული კომპეტენციების მიღებასთან დაკავშირებული ხარვეზების იდენტიფიცირება.
- მიკრო-კრედიტების შესაბამისობა განვითარების ეროვნულ სტრატეგიებთან (მაგ., ხედვა 2030: საქართველოს განვითარების სტრატეგია; 2022-2030 საქართველოს განათლებისა და მეცნიერების ერთიანი ეროვნული სტრატეგია: 2022-2030 წლები; უმაღლესი განათლებისა და კვლევის ინტერნაციონალიზაცია საქართველოში 2030: რეკომენდაციები).
- როგორ შეუწყობს ხელს მიკრო-კრედიტები სამუშაო ძალის დასაქმებას, უნარების განვითარებასა და გადამზადებას.

საქართველოს უმაღლესი განათლების რეფორმებთან შესაბამისობა

- უმაღლესი განათლების მიმდინარე რეფორმებთან, განსაკუთრებით ბოლონიის პროცესთან;
- ქვეყნის ეროვნულ კვალიფიკაციათა ჩარჩოსთან;
- მთელი სიცოცხლის მანძილზე და/ან უწყვეტი განათლების ინსტიტუციონალურ პრიორიტეტებთან.

3. პოლიტიკის განვითარება და დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობა

აქტივობები

1. პოლიტიკის განვითარება

მიკრო-კრედიტების ინტეგრაცია ეროვნულ კვალიფიკაციათა ჩარჩოში, მათი ხარისხიანი განხორციელებისა და შეფასების უზრუნველსაყოფად. განახლებულმა ჩარჩომ ხელი უნდა შეუწყოს გამჭვირვალობას, თანამიმდევრულობასა და ობიექტურობას, განსაკუთრებით, კრედიტების აღიარების მექანიზმებთან მიმართებით; ასევე, მიკრო-კრედიტების პორტაბელურობასა და კომბინირების შესაძლებლობას. ამისათვის საჭიროა:

- სამინისტროს, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების (უსდ), ტრენინგის პროვაიდერების, დამსაქმებლებისა და განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის წარმომადგენლებისგან შემდგარი სამუშაო ჯგუფის შექმნა.

- მიკრო-კრედიტებთან დაკავშირებით პოლიტიკის რეკომენდაციისა და სახელმძღვანელოს შემუშავება, ევროპულ მიდგომებთან შესაბამისობის გათვალისწინებით.
- არსებული კანონმდებლობის გადახედვა და მიკრო-კრედიტების ინტეგრირებისათვის საჭირო ცვლილებების პაკეტის მომზადება.

2. დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობა

- ინფორმაციული და საკონსულტაციო სემინარების ჩატარება უმაღლეს სასწავლებლებთან, დამსაქმებლებსა და პოლიტიკის შემქმნელებთან.
- ერთობლივი სტრატეგიული დოკუმენტის შემუშავება, რომელიც ასახავს მიკროკრედიტების დანერგვას საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებსა და სხვა შესაბამის სასწავლო დაწესებულებებში.

განხორციელების ეტაპები

- **კვარტალი 1**:
  - სამუშაო ჯგუფის ფორმირება – მკაფიოდ გაწერილი როლები და ვალდებულებები.
  - პოლიტიკის დოკუმენტის პროექტი/ მიკროკრედიტების სახელმძღვანელო - გავრცელებულია ძირითად დაინტერესებულ მხარეებს შორის.

- **კვარტალი 3-4:**
  - პოლიტიკის ჩარჩო/რეკომენდაციები დამტკიცებულია შესაბამისი ორგანოების (საქართველოს პარლამენტი, სამინისტრო, მთავრობა) მიერ.
  - გამოქვეყნებულია ერთობლივი სტრატეგიული დოკუმენტი, რომელშიც აღწერილია საერთო მიზნები და ვადები.

4. ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები

აქტივობები

1. სტანდარტების შემუშავება

- საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის ადაპტირება მიკროკრედიტებისათვის სპეციფიკური ხარისხის უზრუნველყოფის სახელმძღვანელო პრინციპების შესაქმნელად.

- მინიმალური მოთხოვნებისა (სასწავლო შედეგები, კრედიტი/სამუშაო დატვირთვა, შეფასება) და გამჭვირვალე დესკრიპტორების განსაზღვრა.

1. ხარისხის უზრუნველყოფის შიდა და გარე მექანიზმების დანერგვა

ხარისხის უზრუნველყოფის ჩარჩოს პილოტირება შერჩეულ დაწესებულებებში, სტუდენტების/სტუდენტების უკუკავშირის, შიდა განხილვებისა და გარე აკრედიტაციის გამოყენებით.
ხარისხის უზრუნველყოფის რედაქტირებული სახელმძღვანელო პრინციპების გამოქვეყნება ფართო გამოყენებისთვის.

განხორციელების ეტაპები

- **კვარტალი 2-4:**
  - დასრულებულია ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტების პროექტი, რომლებიც ასახავს მიკროკრედიტის კურსების საჭიროებებს და სწავლის შედეგებს.
  - საპილოტე დაწესებულებები შერჩეულია.
- **კვარტალი 2-5:**
  - ხარისხის უზრუნველყოფის საპილოტე შეფასებები დასრულებულია; უკუკავშირი ინტეგრირებულია.
  - ხარისხის უზრუნველყოფის საბოლოო ჩარჩო გამოქვეყნებულია; სახელმძღვანელო ხელმისაწვდომია ყველა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებისთვის.

5. ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან ინტეგრირება და აღიარება

აქტივობები

1. ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან შესაბამისობა

- ეროვნული კვალიფიკაციის ჩარჩოს დონეებთან მიკროკრედიტების შესაბამისობის დასადგენად მეთოდოლოგიის შემუშავება, თანმიმდევრული აღიარებისა და პორტაბელურობის უზრუნველყოფა.
- ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს ექსპერტებთან ტექნიკური კონსულტაციების გავლა კრედიტების მნიშვნელობებისა და სწავლის შედეგების დასადასტურებლად.

- მიკროკრედიტების სამართლიანი აღიარების ელემენტების შემუშავება, ლისაბონის აღიარების კონვენციის ძირითადი პრინციპების შესაბამისად უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ მოწოდებული ინფორმაციის გამჭვირვალობისა და სისრულის უზრუნველყოფა.

2. აღმწერების სტანდარტიზაცია

- საპილოტე მიკროკრედიტის კურსების/მოდულების/პროგრამების სტანდარტიზებული შაბლონის შემუშავება, სწავლის შედეგების, სასწავლო დატვირთვის (ECTS სისტემა) და კრედიტების მნიშვნელობების თანმიმდევრული აღწერის მიზნით.
- პორტაბელურობის უზრუნველყოფა, ასევე მათი ფორმალურ კვალიფიკაციებში ინტეგრირების შესაძლებლობის კვლევა.

განხორციელების ეტაპები

- **კვარტალი 2-3**:
  - შეიქმნა ეროვნული კვალიფიკაციის ჩარჩოს გზამკვლევი დოკუმენტი; შესაბამის დონეებზე განთავსებულია მიკროკრედიტები.
  - შემუშავებულია მიკროკრედიტის სილაბუსის შაბლონი, რომელიც მოიცავს შედეგებს, სასწავლო დატვირთვასა და კრედიტებს.
- **კვარტალი 3-6**:
  - მიკროკრედიტები ოფიციალურად ინტეგრირებულია კვალიფიკაციის ეროვნულ ჩარჩოში; ინსტიტუციური შესაბამისობის შესახებ გამოქვეყნებულია სახელმძღვანელო პრინციპები.

6. ციფრული პლატფორმა

აქტივობები

1. **ციფრული სერტიფიცირების პლატფორმის ადაპტაცია**

- არსებული პლატფორმების შეფასება ან ეროვნული/ინსტიტუციური გადაწყვეტის შემუშავება/განვითარება ციფრული სერტიფიკატების/ბეიჯების გაცემისა და დადასტურების მიზნით.
- ღია სტანდარტების უზრუნველყოფა საერთაშორისო აღიარების მხარდასაჭერად.

განხორციელების ეტაპები

- **კვარტალი 2-3**:

- პლატფორმის შერჩევის/განვითარების შესახებ გადაწყვეტილება; ძირითადი ფუნქციების განსაზღვრა (ციფრული სერტიფიკატის/ბეიჯის გაცემა, ვერიფიკაცია).

- **კვარტალი 3-6**:
  - აკრედიტაციის პლატფორმის პილოტირება შერჩეულ დაწესებულებებში; მომხმარებელთა გამოცდილებისა და უსაფრთხოების შესახებ გამოხმაურების ანალიზი.

7. კურიკულუმის პილოტირება

აქტივობები

1. **პროექტით გათვალისწინებული მიკროკრედიტის პროგრამების განვითარება**
   - მოკლევადიანი სასწავლო პროგრამების/კურსების/მოდულების შემუშავება Micro-Gear პროექტის ფარგლებში იდენტიფიცირებულ, მოთხოვნად უნარებზე (კომპიუტერული ქსელის ადმინისტრირება, მიკროკონტროლერების პროგრამირება დრონების აპლიკაციებისთვის, გეოინფორმაციული სისტემები ტურიზმისთვის, მონაცემთა ანალიზის პროგრამირება მედიცინისთვის).
   - მიკროკრედიტების კომბინირების შესაძლებლობის უზრუნველყოფა – სტუდენტები შეძლებენ უფრო ფართო კვალიფიკაციის (დიპლომი, ხარისხი) მიღებაც.
2. **ინდუსტრიის წარმომადგენლებთან თანამშრომლობა**
   - დამსაქმებლებისა ან შესაბამისი სექტორის ექსპერტების ჩართვა სასწავლო გეგმის შემუშავებაში ინდუსტრიის სტანდარტებთან შესაბამისობის მიზნით.
   - პრაქტიკული კომპონენტების გათვალისწინება (მაგალითების ანალიზი, სიმულაციები), დასაქმების შესაძლებლობების გაუმჯობესების მიზნით.

განხორციელების ეტაპები

- **კვარტალი 2-3**:
  - შემუშავებულია კურსის/მოდულის/პროგრამის საწყისი პროტოტიპები (მოკლე, კომპეტენციებზე დაფუძნებული ერთეულები) მიკროკრედიტებისთვის.
  - ინდუსტრიის წარმომადგენლები ჩართულნი არიან სასწავლო გეგმის ვალიდაციაში.
- **კვარტალი 4-5**:

- სასწავლო გეგმა დასრულებულია, რის შემდეგაც მიკროკრედიტების მიღება/გაცემა შესაძლებელია (ინდუსტრიის მხარდაჭერით).
- მიკროკრედიტების კომბინირება შესაძლებელია და დეტალურადაა აღწერილია საუნივერსიტეტო პროგრამებზე კრედიტების გადატანის პროცედურა.

8. ცნობადობის ამაღლება და შესაძლებლობების განვითარება

აქტივობები

1. **ტრენინგები დაინტერესებულ მხარეთა წარმომადგენლებისთვის**
   - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და ინდუსტრიის წარმომადგენლებისთვის სემინარებისა და ვორკშოპების ჩატარება მიკროკრედიტების სარგებლისა და დანერგვის მექანიზმების დემონსტრირების მიზნით.
   - ტრეინინგები პედაგოგების, ადმინისტრაციული პერსონალისა და დამსაქმებლებისათვის ინფრასტრუქტურის განვითარებისა და მიკროსაკრედიტო კურსების/მოდულების დანერგვის შესახებ.
2. **დაკვალიანება**
   - ონლაინ ინსტრუმენტების (სახელმძღვანელოები, ხშირად დასმული კითხვები, ვიდეო გაკვეთილები) შექმნა ინსტიტუტებისა და ფიზიკური პირებისთვის.

განხორციელების ეტაპები

- **კვარტალი 2-3**:
  - ცნობიერების ამაღლებაზე ორიენტირებული სემინარები ჩატარებულია საპილოტე დაწესებულებებში.
  - პირველადი საცნობარო მასალები (ფლაერები, ონლაინ კონტენტი) გავრცელებულია.
- **კვარტალი 3-5**:
  - ტრენინგები: დამატებითი სემინარები უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების გაფართოებული მონაწილეობის უზრუნველსაყოფად.
  - საპილოტე პროექტის უკუკავშირი (მაგალითების ანალიზი, მოკლე ანიმაციური ვიდეო ქართულ ენაზე) გათვალისწინებულია მეორე ეტაპის ბეჭდურ და ონლაინ მასალებში.

9. მიკროკრედიტების დანერგვის მონიტორინგი და შეფასება

აქტივობები

1. **შედეგების შეფასება**

   - მსწავლელთა ჩარიცხვებისთვის, დასრულების მაჩვენებლებისა და დასაქმების შედეგებისათვის (სამუშაო ადგილის დაკავება, დაწინაურება) თვალყურის მიდევნება.
   - ციფრული პლატფორმიდან გამოხმაურების მისაღებად გამოკითხვებისა და ფოკუს ჯგუფების ჩატარება.

2. **შემდგომი გაუმჯობესება**

   - დაინტერესებულ მხარეებთან პერიოდული მიმოხილვითი შეხვედრების გამართვა მონაცემების ინტერპრეტაციის, პოლიტიკის ან სასწავლო გეგმების კორექტირების მიზნით.
   - გლობალური ტენდენციების (მაგ., ევროკომისიის) მონიტორინგი, რათა მიკროკრედიტების დანერგვის ადგილობრივი გამოცდილება შეესაბამებოდეს საერთაშორისო პრაქტიკას.

განხორციელების ეტაპები

- **კვარტალი 2-3**:
  - საპილოტე მიკროკრედიტების შესახებ საბაზისო მონაცემები (მოსწავლეთა დემოგრაფიული მონაცემები, კმაყოფილების დონე) შეგროვებულია.
  - შუალედური მიმოხილვა დაგეგმილია ახალი გამოწვევების მოსაგვარებლად.
- **კვარტალი 4-6**:
  - გამოქვეყნებულია შუალედური ანგარიშები, რომლებიც ასახავს სწავლის შედეგებს, დასაქმების მაჩვენებლებს და დაინტერესებული მხარეების გამოხმაურებას.
  - პოლიტიკისა და პრაქტიკის დახვეწაზე მიმართული ზომები ინტეგრირებულია ხარისხის უზრუნველყოფის ჩარჩოსა და მიკროკრედიტების სახელმძღვანელოში.

10. დასკვნა

გზამკვლევი ასახავს საქართველოს უმაღლესი განათლების სისტემაში მიკროკრედიტების დანერგვისადმი სტრატეგიულ და ინტეგრირებულ მიდგომას. იგი მოიცავს პოლიტიკის ფორმულირების, ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების, ციფრული ინფრასტრუქტურის, სასწავლო გეგმის შემუშავების, დაინტერესებული მხარეების ჩართულობის, აღიარების პროცედურებისა და გრძელვადიანი მდგრადობის ძირითად

პრინციპებს, ზემოთ აღწერილი აქტივობების თანმიმდევრული შესრულება ქვეყანას საშუალებას მისცემს, შეიმუშაოს ეროვნული განვითარების მიზნებისა და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი მიკროკრედიტების სისტემა.

მიკროკრედიტების წარმატებული ინტეგრაცია საქართველოს უმაღლესი განათლების სისტემაში გულისხმობს ეროვნულ სტრატეგიულ მიზნებთან, მარეგულირებელ ჩარჩოებთან და საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკასთან ჰარმონიზაციას. ხარისხის უზრუნველყოფაზე, ინსტიტუციურ მზაობაზე, დაინტერესებული მხარეების აქტიურ მონაწილეობასა და მკაფიო საკომუნიკაციო სტრატეგიაზე აქცენტირება ხელს შეუწყობს მოქნილი, მომავლზე ორიენტირებული ეკოსისტემის შექმნას მოკლევადიანი, მიზნობრივი სასწავლო შესაძლებლობების უზრუნველყოფისთვის. ეს ჩარჩო იქნება ახალი უნარებისა და კომპეტენციების შეძენის ეფექტური მექანიზმი, რაც საბოლოოდ ხელს შეუწყობს როგორც ინდივიდუალურ დასაქმებას, ასევე ეროვნული სამუშაო ძალის კონკურენტუნარიანობას.

ძირითადი შედეგები

- მიკროკრედიტების ეროვნული პოლიტიკა და ჩარჩოები შემუშავებული და ინტეგრირებულია.
- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების დანერგილი და პილოტირებულია.
- დაინტერესებული მხარეების პარტნიორობისთვის მზადყოფნა მიღწეულია.
- აკრედიტაციის ციფრული ინფრასტრუქტურა ამოქმედებულია.
- მიკროსაკრედიტო პროგრამების/მოდულების/კურსების დანერგილია
- მიკროკრედიტების მდგრადი განვითარებისთვის რეგულარული მონიტორინგისა და შეფასების პროცედურების დანერგილი.

დანართი 1

ვადები	აქტივობები	განხორციელების ეტაპები	პასუხისმგებელი ინსტ.
კვარტალი 1-4	**პოლიტიკის განვითარება და დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობა** – სამუშაო ჯგუფის შექმნა	სამუშაო ჯგუფი მუშაობს	MES, NCEQE, GTU, GRENA, UG
კვარტალი 2-5	**ხარისხის უზრუნველყოდის მექანიზმები** – ხარისხის უზრუნველყოფის ჩარჩოს განვითარება მიკროკრედიტებისათვის (სწავლის შედგები, დატვირთვა, შეფასება)	Draft QA Standards Completed, Pilot Institutions Selected	NCEQE
კვარტალი 2-5	**ცნობიერების ამაღლება და შესაძლებლობების განვითარება** – მიკროკრედიტების შესახებ სემინარებისა და ვორკშოპების ჩატარება. საცნობარო მასალების გავრცელება	ვორკშოპები ჩატარებულია, საცნობარო მასალები გავრცელებულია	UG, MES, NCEQE, GTU, GRENA
კვარტალი 2-6	**ეროვნულ კვალიფიკაციათა ჩარჩოსთან ინტეგრირება და აღიარება** – ჩარჩოს დონეებთან შესაბამისობის დადგენა; საგანმანათლებლო სტანდარტებთან შესაბამისობა.	სახელმძღვანელო დოკუმენტი დასრულებულია; სტანდარტული დესკრიპტორები გაწერილია	NCEQE

კვარტალი 2-4	**მონიტორინგისა და შეასების მიზნით საბაზისო მონაცემების შეგროვება** – საპილოტე პროგრამებზე ჩარიცხვისა და დასრულების მაჩვენებლები; დამსაქმებელთა უკუკავშირი კომპეტენციების შესაბამისობის შესახებ.	საბაზისო მონაცემების შესახებ ანგარიში გამოქვეყნებულია	NCEQE, GTU
კვარტალი 1-5	**კურიკულუმის განვითარება** – პროექტით გათვალისწინებული სასწავლო ერთეულების განვითარება მიკროკრედიტებისათვის; არსებულ პროგრამებთან კომბინირებადობის შესაძლებლობის გათვალისწინება	პროექტით გათვალისწინებული სასწავლო ერთეულები მიკროკრედიტებისათვის შემუშავებულია	NCEQE, HEIs
კვარტალი 2-4	**ხარისხის უზრუნველყოფის პილოტირება და განხილვა** – საპილოტე კურსების/მოდულების/პროგრამების შემოწმება; მსწავლელთა უკუკავშირის მიღება; საჭიროების შემთხვევაში, ხარისხის უზრუნველყოფის გზამკვლევში სათანადო ცვლილებების შეტანა.	საპილოტე შეფასება დასრულებულია	NCEQE
კვარტალი 4-5	**გაფართოებული სატრეინინგო მოდულების განვითარება დაინტერესებულ მხარეთა და პროვაიდერი უსდ-ების წარმომადგენელთათვის**	ტრეინინგები ჩატარებული	GTU, GRENA, UG, NCEQE, MES
კვარტალი 2-3	**პოლიტიკის ჩარჩო მიკროკრედიტებისათვის** – სამართლებრივი განხილვა და ხარვეზების აღმოფხვრა	პოლიტიკის დოკუმენტის სამუშაო ვერსია გავრცელებულია განსახილველად	NCEQE, MES

კვარტალი 2-4	**საპილოტე მიკროკრედიტების დაწყება** – კურსების დაწყება Micro-Gear პროექტის პარტნიორ უნივერსიტეტებში; პირველი ციფრული ბეიჯების გაცემა	საპილოტე მიკროსაკრედიტო კურსები დანერგილია; ციფრული პლატფორმა ოპერირებს	GRENA, GTU, UG
კვარტალი 3-5	**შედეგების შეფასება და ცვლილებები** – საპილოტე პროგრამების შუალედური შეფასების ჩატარება; მსწავლელთა და დამსაქმებლების უკუკავშირის ანალიზი.	შედეგების შუალედური ანგარიშის საფუძველზე პოლიტიკისა და ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების ადაპტაცია	GRENA, GTU, UG, NCEQE
კვარტალი 5-6	მასშტაბური ინსტიტუციური ცვლილება – მიკროკრედიტების შეთავაზება სხვა უმაღლესი სასწავლებლებისთვის; მიკროკრედიტების კომბინირების შესაძლებლობების შექმნა.	მიკროკრედიტები ინტეგრირებულია კვალიფიკაციების მიღების პროცესში	NCEQE
კვარტალი 2-6	**მუდმივი მონიტორინგი და შესაბამისობა საერთაშორისო სტანდარტებთან** – გლობალური ტენდენციების მიმოხილვა და მათი შესატყვისი ცვლილებების ასახვა პოლიტიკის დოკუმენტებში; საერთაშორისო პარტნიორობის განვითარება საქართველოში მიღებული მიკროკრედიტების აღიარებისათვის.	მიკროკრედიტები შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტებს	MES, NCEQE, GTU, GRENA, UG
კვარტალი 2-6	**ტექნოლოგიური ინფრასტრუქტურის განვითარება** – ციფრული სერტიფიცირების პლატფორმის შერჩევა ან	პლატფორმა შერჩეულია/განვითარებულია,	GRENA, MES/EMIS

	განვითარება; უსაფრთხოებისა და ვერიფიკაციის სტანდარტების დანერგვა.	უსაფრთხოების პირველადი ზომები გატარებულია	

დანართი 2

#	აქტივობები	2025		2026			
		Q 1	Q 2	Q 3	Q 4	Q 5	Q6
1	**პოლიტიკის განვითარება და დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობა**						
2	**ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები**						
3	**ცნობიერების ამაღლება და შესაძლებლობების განვითარება**						
4	**ეროვნულ კვალიფიკაციათა ჩარჩოსთან ინტეგრირება და აღიარება**						

5	**მონიტორინგისა და შეასების მიზნით საბაზისო მონაცემების შეგროვება**						
6	**კურიკულუმის განვითარება**						
7	**ხარისხის უზრუნველყოფის პილოტირება და განხილვა**						
8	**გაფართოებული სატრეინინგო მოდულების განვითარება დაინტერესებულ მხარეთა და პროვაიდერი უსდ-ების წარმომადგენელთათვის**						
9	**პოლიტიკის ჩარჩო მიკროკრედიტებისათვის**						
10	**საპილოტე მიკროკრედიტების დაწყება**						
11	**შედეგების შეფასება და ცვლილებები**						
12	**მასშტაბური ინსტიტუციური ადაპტაცია**						
13	**მუდმივი მონიტორინგი და შესაბამისობა საერთაშორისო სტანდარტებთან**						
14	**ტექნოლოგიური ინფრასტრუქტურის განვითარება**						